



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბანკარბულება №35

აბაშა, 2019 წლის 30 აპრილი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის“, პირდაპირი ბანკარბულის წესით, სარბეზლოების უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლისა და 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ (ს/6202307404), 30 (ოცდაათი) წლის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ქ. აბაშა, თამარ მეფის ქუჩა №19-ში მდებარე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.01.32.526) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1554 კვ/მ მიწის ნაკვეთი.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 თავმჯდომარე: მ. კვიციანი